საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ "ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე, საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის ჩატარების მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ" კომისიის 2014 წლის 21 აგვისტოს №477/23 გადაწყვეტილების მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის ჩატარების მიზნით.

ამავე გადაწყვეტილებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის განისაზღვრა 3 თვიანი ვადა და საკითხის ზეპირი მოსმენის ჩატარების თარიღად განისაზღვრა 2014 წლის 25 სექტემბერი;

კომისიის 2014 წლის 25 სექტემბრის სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება კომისიის 2014 წლის 21 აგვისტოს №477/23 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლის თანახმად საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის საკითხის განხილვის ზეპირი მოსმენის სხდომა დაინიშნა 2014 წლის 9 ოქტომბერს 16:00 საათზე. ზეპირი მოსმენის სხდომის საოქმო გადაწყვეტილებით საკითხის არსებითი განხილვა დაინიშნა 2014 წლის 24 ოქტომბერს.

2014 წლის 24 ოქტომბერს კომისიის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება №591/19 "საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის ჩატარების მიზნით ზეპირი მოსმენის განმეორებით დანიშვნის შესახებ", რომლის თანახმად ზეპირი მოსმენის თარიღად განისაზღვრა 2014 წლის 6 ნოემბერი.

კომისიის ზეპირი მოსმენის სხდომაზე კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის (ე.ასანიძე, დ.გოგიჩაიშვილი, დ.ქუთათელაძე) მიერ წარმოდგენილი იქნა საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტსა და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე ჩატარებული კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგები, აგრეთვე სს „სილქნეტის", შპს „ახალი ქსელების", შპს „ახტელის", შპს „ივერია ქსელის" და შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის" ტარიფების გაანგარიშების მოდელები:

1. საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტი

1.1. კომისიის სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების მიხედვით, საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხების მოცულობის მიხედვით:

ა) ქ. თბილისის გეოგრაფიულ საზღვარში სს "სილქნეტი" წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს (77,67 %).

	თბილისი	თხრილის სიგრძე	არხი/კმ	%
1	შპს "ახალი ქსელები"	208,97	282,21	5,99%
2	შპს "ახტელი"	152,50	272,01	5,77%
3	სს "სილქნეტი"	743,83	3660,94	77,67%
4	შპს "კავკასუს ონლაინი"	489,07	489,07	10,38%
5	შპს "სისტემ ნეტი"	1,48	2,79	0,06%
6	შპს "მაგთი"	2,20	2,20	0,05%
7	შპს "ჯეოსელი"	4,00	3,60	0,08%
8	შპს„ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი"	0,89	0,89	0,02%
	სულ	1602,96	4713,71	100,00%

ბ) ქ. რუსთავის გეოგრაფიულ საზღვარში სს "სილქნეტი" (47,99%) და შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია" (26,33%) წარმოადგენენ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს.

	რუსთავი	თხრილის სიგრძე	არხი/კმ	%
1	სს "სილქნეტი"	66,70	214,72	47,99%
2	შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია"	78,07	117,81	26,33%
3	შპს "მეტაკომი"	25,98	66,77	14,92%
4	შპს "კავკასუს ონლაინი"	48,13	48,13	10,76%
	სულ		447,43	100,00%

გ) ქ. ქუთაისის გეოგრაფიულ საზღვარში სს "სილქნეტი" წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს (76,03%).

	ქუთაისი	თხრილის სიგრძე	არხი/კმ	%
1	შპს "ახალი ქსელები"	75,27	112,97	21,77%
2	სს "სილქნეტი"	121,48	394,58	76,03%
3	შპს„ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი"	11,42	11,42	2,20%
	სულ	208,17	518,97	100,0%

დ) ქ. ფოთის გეოგრაფიულ საზღვარში სს "სილქნეტი" წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს (91,76%).

	ფოთი	თხრილის სიგრძე	არხი/კმ	%
1	შპს "ახალი ქსელები"	7,40	12,16	4,38%
2	სს "სილქნეტი"	32,38	254,41	91,76%
3	შპს "ფოფტნეტი"	4,13	4,13	1,49%
4	შპს "კავკასუს ონლაინი"	6,56	6,56	2,37%
	ჯამი	50,47	277,26	100,00%

ე) ქ. ბათუმის გეოგრაფიულ საზღვარში სს "სილქნეტი" წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს (93,96%).

	ბათუმი	თხრილის სიგრძე	არხი/კმ	%
1	სს "სილქნეტი"	109,27	395,80	93,96%
2	შპს "ანეტი"	12,88	23,57	5,59%
3	შპს„ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი"	0,94	1,89	0,45%
	სულ	123,09	421,26	100,00%

ვ) ქ. ზუგდიდის გეოგრაფიულ საზღვარში სს "სილქნეტი" წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს (91,7%).

	ზუგდიდი	თხრილის სიგრძე	არხი/კმ	%
1	შპს ივერია ქსელები	4,87	7,87	8,3%
2	სს სილქნეტი	34,32	86,56	91,7%
	სულ		94,43	100,0%

ზ) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიულ საზღვარში სს "სილქნეტი" (63,43%) და შპს ახალი ქსელები" (36,57%) წარმოადგენენ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს.

	ზესტაფონი	თხრილის სიგრძე	არხი/კმ	%
1	შპს "ახალი ქსელები"	7,21	8,775	36,57%
2	სს "სილქნეტი"	7,41	15,22	63,43%
	სულ	14,62	24,00	100,00%

თ) ბოლნისის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიულ საზღვარში სს "სილქნეტი" წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს (90,5%).

	ბოლნისი	თხრილის სიგრძე	არხი/კმ	%
1	შპს "ბოლნისის ახალი ქსელები"	3,00	5,00	9,5%
2	სს "სილქნეტი"	11,88	47,43	90,5%
	სულ		52,43	100,0%

ი) თერჯოლას მუნიციპალიტეტის გეოგრაფიულ საზღვარში სს "სილქნეტი" წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს (99,92%).

	თერჯოლა	თხრილის სიგრძე	არხი/კმ	%
1	შპს "ახალი ქსელები"	0,01	0,01	0,08%
2	სს "სილქნეტი"	4,79	11,86	99,92%
	სულ		11,87	100,00%

კ) ქ. გორის გეოგრაფიულ საზღვარში სს "სილქნეტი" წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს (85,20%).

	გორი	თხრილის სიგრძე	არხი/კმ	%
1	შპს "ახალი ქსელები"	8,25	8,25	9,42%
2	სს "სილქნეტი"	23,08	74,61	85,20%
3	შპს„ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი"	3,45	4,70	5,37%
	სულ		87,57	100,00%

ლ) მარნეულის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიულ საზღვარში სს "სილქნეტი" წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს (98,07%).

	მარნეული	თხრილის სიგრძე	არხი/კმ	%
1	შპს "კავკასუს ონლაინი"	0,92	0,92	1,93%
2	სს "სილქნეტი"	14,82	46,82	98,07%
	სულ	15,74	47,74	100,00%

მ) კასპის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიულ საზღვარში სს "სილქნეტი" წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს (99,54%).

	კასპი	თხრილის სიგრძე	არხი/კმ	%
1	შპს "კავკასუს ონლაინი"	0,14	0,14	0,46%
2	სს "სილქნეტი"	9,80	30,35	99,54%
	სულ	9,94	30,49	100,00%

ნ) ხაშურის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიულ საზღვარში სს "სილქნეტი" წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს (99,74%).

	ხაშური	თხრილის სიგრძე	არხი/კმ	%
1	შპს "კავკასუს ონლაინი"	0,19	0,19	0,26%
2	სს "სილქნეტი"	26,14	72,39	99,74%
	სულ	26,33	72,57	100,00%

ო) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გეოგრაფიულ საზღვარში სს "სილქნეტი" წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს (99,52%).

	წყალტუბო	თხრილის სიგრძე	არხი/კმ	%
1	შპს "კავკასუს ონლაინი"	0,21	0,21	0,48%
2	სს "სილქნეტი"	12,61	42,78	99,52%
	სულ	12,82	42,99	100,00%

პ) საქართველოს დანარჩენ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში, კერძოდ: თელავის, გურჯაანის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, ახმეტის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, ყვარლის, გარდაბანის, დმანისის, თეთრიწყაროს, წალკის, ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, მარტვილის, ჩხოროწყუს, ცაგერის, წალენჯიხის, სენაკის, ხობის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჭიათურის, თიანეთის, სტეფანწმინდის, საჩხერის, ქარელის, ქედის, ქობულეთის, ხულოს, შუახევის, ხელვაჩაურის, ვანის, ამბროლაურის, ბაღდათის, ტყიბულის, ხარაგაულის, ხონის, სამტრედიის, აბაშის, დუშეთის, მცხეთის, ლენტეხის

და ონის გეოგრაფიულ საზღვრებში სს "სილქნეტი" (100%) წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს.

1.2. <u>საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებში კაბელების გატარების მომსახურების დანახარჯები</u>

1.2.1 სს „სილქნეტი"

სს „სილქნეტის" მიერ წარმოდგენილი (წერილი N4052/01-8, 23.10.2014წ.) საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების დანახარჯების მოდელი მომზადებულია სს „სილქნეტის" 2013 წლის ფინანსური/საბუღალტრო და ტექნიკური მონაცემების საფუძველზე.

კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების დანახარჯების დაჯგუფება ხარჯების ტიპისა და შინაარსის მიხედვით მოცემულია ცხრილ N 1.1-ში:

ცხრილი N1.1

	წარმოდგენილი	
კანალიზაციის სიგრძე (არხი/კმ)	6 386	
ფაქტიური დატვირთვის %	10%	
WACC	**10,23%**	
საბალანსო წარჩენი ღირებულება	**31.12.2013**	**ხარჯის %**
სატელეკომუნიკაციო ჭები და არხები	20 383 057	
კაპიტალის ღირებულება	**205 931**	7%
ხარჯის ტიპი		
საოპერაციო ხარჯები	2 517 138	90%
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	28 712	1%
ცვეთა	34 197	1%
სულ ხარჯები	**2 580 047**	
სულ ხარჯები და დატვირთული კაპიტალის ღირებულება	**2 785 978**	100%
დანახარჯი 1 კმ/არხზე თვეში ლარი	**368**	

კომპანიის მიერ წარმოდგენილი და კომისიის სტატისტიკურ ბაზაში არსებული ინფორმაციის მიხედვით 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „სილქნეტის" მფლობელობაში იყო 6 386 კმ საკანალიზაციო არხი. აღნიშნული აქტივის საბალანსო ღირებულება 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 20 383 057 ლარს, ხოლო ერთი არხი კილომეტრის საშუალო საბალანსო ღირებულება შეადგენდა 3 192 ლარს.

სს „სილქნეტის" მიერ წარმოდგენილი მოდელის მიხედვით საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების ტარიფის გაანგარიშებისას ამ მომსახურებაზე გაწეული საოპერაციო ხარჯების, ზედნადები ხარჯების და კაპიტალის ღირებულების ჯამი გაიყო საკანალიზაციო არხების სრულის სიგრძის ფაქტიურ დატვირთვაზე 368 არხ/კილომეტრზე (368= 6 386 *10%, სადაც 6386 საკანალიზაციო არხების სრული სიგრძეა).

ფაქტიური დატვირთვის კოეფიციენტი გაანგარიშებულია შემდეგი მონაცემების და ფორმულის მიხედვით:

- კაბელების მიერ დაკავებული მოცულობა მთლიანი საკანალიზაციო თხრილის მოცულობაში გაანგარიშებულ იქნა შემდეგი ფორმულით: $2\pi r^2$ * კანალიზაციის სიგრძეზე, π - მუდმივი ციფრია და მისი მნიშვნელობა 3,14 ტოლია, r- რადიუსია;
- საკანალიზაციო თხრილის მთლიანი მოცულობა ტოლია (100/2)2*3.14*6,386, სადაც 100 წარმოადგენს კომპანიის საკანალიზაციო თხრილში მილის დიამეტრს, 6,386 კმ არხების სრული სიგრძე;
- ფაქტიური დატვირთვის კოეფიციენტი ტოლია საკანალიზაციო თხრილში გატარებული კაბელების მოცულობა შეფარდებული საკანალიზაციო თხრილის მთლიან მოცულობასთან. ზემოაღწერილი გაანგარიშებით ფაქტიური დატვირთვის კოეფიციენტი 2013 წლის მდგომარეობით 10 %-ს შეადგენს.

სს „სილქნეტის" მიერ წარმოდგენილი მოდელის მიხედვით საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების გაანგარიშებაში მონაწილეობს საკანალიზაციო არხების სრული სიგრძის ნარჩენი საბალანსო ღირებულების და ცვეთის ხარჯის 10%, ხოლო საოპერაციო ხარჯების 100%.

კომპანიის ზედნადები დანახარჯები მომსახურეების სახეებზე გადანაწილებულია მომსახურების სახეებზე გაწეული პირდაპირი დანახარჯების პროპორციული წილის მიხედვით.

შრომითი რესურსების დანახარჯები შემდეგი სახის მომსახურებზე: PSTN, ADSL Int, DSL IPTV, VOIP, FO Int, Silk Tv, CDMA Fix, CDMA Mob გადანაწილებულია შესაბამისი მომსახურებების სერვისების რაოდენობების მიხედვით; სხვა დანარჩენ მომსახურებებზე ხელფასის ხარჯები მიკუთვნებულია ამ მომსახურებების

შემოსავლების პროპორციული წილის მიხედვით. რადგან სს „სილქნეტს“ კომპანიის საშტატო განრიგი კომისიაში არ წარმოუდგენია, ამიტომ ხელფასის დანახარჯების გადანაწილების სისწორე არ შემოწმებულა.

შენიშვნა N 1. კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტს მიაჩნია, რომ სს „სილქნეტის“ მიერ წარმოდგენილი მოდელის მიხედვით საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების ტარიფის გაანგარიშებისას ამ მომსახურებაზე გაწეული საოპერაციო ხარჯების, ზედნადები ხარჯების და კაპიტალის ღირებულების ჯამი უნდა გაიყოს საკანალიზაციო არხების სრულ სიგრძზე და არა ფაქტიურ დატვირთვაზე.

კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტმა ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით სს „სილქნეტის“ მიერ წარმოდგენილ საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების დანახარჯების გაანგარიშების მოდელში შეიტანა მაკორექტირებელი გაანგარიშებები. მაკორექტირებელი გაანგარიშებების შედეგები წარმოდგენილია ცხრილი N 1.2-ში.

ცხრილი N1.2

	წარმოდგენილი	**შენიშვნა N 1 გათვალისწინებით**
საკანალიზაციო არხების სრული სიგრძე (კმ)	6 386	6 386
ფაქტიური დატვირთვის %	10%	
საკანალიზაციო არხების სიგრძე გაანგარიშებაში	631	6 386
ნარჩენი ღირებულება	**31.12.2013**	**31.12.2013**
სატელეკომუნიკაციო ჭები	6 727 258	6 727 258
საკანალიზაციო არხები	13 655 800	13 655 800
კაპიტალის ღირებულება	**205 931**	**2 084 634**
ხარჯის ტიპი		
სატელეკომუნიკაციო ჭების ცვეთა	11 396	115 356
საკანალიზაციო არხების ცვეთა	22 801	230 814
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	28 712	28 712
ქსელის ექსპლუატაციის ხარჯები	1 455 441	1 455 441
შრომის ანაზღაურების დანახარჯები	1 061 697	1 061 697
Total	**2 580 047**	**2 892 020**
დანახარჯი 1 კმ/არხზე თვეში, ლარი	**368**	**65**

შენიშვნა N1-ის გათვალისწინებით შპს „სილქნეტის“ მიერ წარმოდგენილი საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების დანახარჯების გაანგარიშების მოდელის მიხედვით 2013 წლის მონაცემებით ერთ თვეში ერთ არხ კილომეტრზე საოპერაციო დანახარჯები საშუალოდ შეადგენს 33 ლარს, ზედნადები დანახარჯები - 0,37 ლარს, ერთი არხი კილომეტრი კანალიზაციის ცვეთის ხარჯი შეადგენს 5 ლარს, ხოლო ერთი არხი კილომეტრი კანალიზაციის კაპიტალის ღირებულება შეადგენს 27 ლარს.

1.2.2. შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“

შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ მიერ წარმოდგენილი წერილის (კომისიაში რეგისტრაციის ნომერი N6/5937-14, 24.09.2014წ.) საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების დანახარჯების მომსახურების დანახარჯების მოდელი მომზადებულია შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ 2013 წლის ფინანსური/ საბუღალტრო და ტექნიკური მონაცემების საფუძველზე.

საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების დანახარჯების დაჯგუფება დანახარჯების ტიპისა და შინაარსის მიხედვით მოცემულია ცხრილ N 1.3-ში:

ცხრილი N1.3

	წარმოდგენილი	
კანალიზაციის სიგრძე, კმ/არხი	118	
WACC	**24,29%**	
საბალანსო წარჩენი ღირებულება	**31.12.2013**	**ხარჯის %**
სატელეკომუნიკაციო ჭები და არხები	1 196 569	
კაპიტალის ღირებულება	**290 647**	46%
ხარჯის ტიპი		
საოპერაციო ხარჯები	86 709	14%
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	13 812	2%
ცვეთა	246 262	39%
სულ ხარჯები	**346 784**	
სულ ხარჯები და დატვირთული კაპიტალის ღირებულება	**637 430**	100%
დანახარჯი 1 კმ/არხზე თვეში, ლარი	**450,90**	

კომპანიის მიერ წარმოდგენილი და კომისიის სტატისტიკურ ბაზაში არსებული ინფორმაციის მიხედვით 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ მფლობელობაში იყო 118 კმ საკანალიზაციო არხი. აღნიშნული აქტივის საბალანსო ღირებულება 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 1 196 569 ლარს, ერთი არხ კილომეტრის საშუალო საბალანსო ღირებულება შეადგენდა 10 157 ლარს.

კომპანიის ზედნადები დანახარჯები მომსახურეების სახეებზე გადანაწილებულია მომსახურების სახეებზე გაწეული პირდაპირი დანახარჯების პროპორციული წილის მიხედვით. კომპანიის ხელფასის ხარჯები მომსახურების სახეებზე მიკუთნებულია საშტატო განრიგის მიხედვით.

შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ მიერ წარმოდგენილი საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების დანახარჯების გაანგარიშების მოდელის მიხედვით 2013 წლის მონაცემებით ერთ არხ კილომეტრზე საოპერაციო დანახარჯები თვეში შეადგენს 61 ლარს, ზედნადები დანახარჯები თვეში შეადგენს 10 ლარს, ერთი არხი კილომეტრი კანალიზაციის ცვეთის ხარჯი თვეში შეადგენს 174 ლარს, ხოლო ერთი არხი კილომეტრი კანალიზაციის კაპიტალის ღირებულება შეადგენს 206 ლარს.

შენიშვნა N 2. კომპანიის მიერ წარმოდგენილი WACC-ის გაანგარიშება არ შეესაბამება კომისიის 2006 წლის 20 აპრილის №5 დადგენილებით დამტკიცებული ”ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესებს”. წარმოდგენილი ინფორმაციით დატვირთული კაპიტალის ღირებულების გასაანგარიშებლად გამოყენებული WACC-ის (კაპიტალის საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთი) ოდენობა შეადგენს 24,29 %-ს. აღნიშნული არ შეესაბამება კომისიის მიერ გაანგარიშებულ 2012 წლის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი ავტორიზებული პირების საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის წლიური განაკვეთის გასაშუალოებულ ოდენობას „Rm”-ს (9.4%).

„ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების შესახებ“ კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებაში კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების WACC გაანგარიშებასთან დაკავშირებით ცვლილება შევიდა კომისიის 2014 წლის 2 ოქტომბრის №6 დადგენილებით. იმის გათვალისწინებით, რომ: ა) საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზისთვის ოპერატორებისგან ინფორმაცია და დანახარჯების გაანგარიშების მოდელის მომზადება მოთხოვნილი იყო კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებაში აღნიშნული ცვლილებების შეტანამდე; ბ) ამასთან, მეთოდოლოგიურ წესებში შეტანილი ცვლილების მიხედვით WACC რეგულირებადი საქმიანობისთვის უნდა დადგინდეს კომისიის გადაწყვეტილებით („ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების” 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი), რომელიც კომისიას საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ საკითხის განხილვის მომენტისთვის დადგენილი არ აქვს, კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტმა გაანგარიშების მიზნებისთვის გამოიყენა 2012 წლის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი ავტორიზებული პირების საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის წლიური განაკვეთის გასაშუალოებული ოდენობა.

კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტმა ზემოაღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით, კერძოდ WACC-ის კორექტირებით (WACC შემცირდა 10%-მდე) შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის

კორპორაციის“ მიერ წარმოდგენილ მოდელში შეიტანა მაკორექტირებელი გაანგარიშებები. კორექტირებით მიღებული შედეგები მოცემულია ცხრილი N1.4- ში.

ცხრილი N1.4

	კორექტირებული	
კანალიზაციის სიგრძე, კმ/არხი	118	
WACC	**10,00%**	
საბალანსო წარჩენი ღირებულება	**31.12.2013**	**ხარჯის %**
სატელეკომუნიკაციო ჭები და არხები	1 196 569	
კაპიტალის ღირებულება	**119 657**	26%
ხარჯის ტიპი		
საოპერაციო ხარჯები	86 709	19%
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	13 812	3%
ცვეთა	246 262	53%
სულ ხარჯები	**346 784**	
სულ ხარჯები და დატვირთული კაპიტალ	**466 441**	100%
დანახარჯი 1 კმ/არხზე თვეში, ლარი	**329,95**	

1.2.3 შპს „ახალი ქსელები“

შპს „ახალი ქსელების“ მიერ მიერ წარმოდგენილი (წერილი N 6/5937-14 (კომისიაში რეგისტრაციის ნომერი), 24 სექტემბერი 2014წ.) საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების დანახარჯების მომსახურების დანახარჯების მოდელი მომზადებულია შპს „ახალი ქსელების“ 2013 წლის ფინანსური/ საბუღალტრო და ტექნიკური მონაცემების საფუძველზე.

საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების დანახარჯების დაჯგუფება დანახარჯების ტიპისა და შინაარსის მიხედვით მოცემულია ცხრილ N 1.5-ში:

ცხრილი N1.5

	წარმოდგენილი	
კანალიზაციის სიგრძე, კმ/არხი	424	
WACC	**24,29%**	
საბალანსო წარჩენი ღირებულება	**31.12.2013**	**ხარჯის %**
სატელეკომუნიკაციო ჭები და არხები	5 498 393	
კაპიტალის ღირებულება	**1 335 560**	57%
ხარჯის ტიპი		
საოპერაციო ხარჯები სახაზო ქსელი	520 926	22%
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	197 935	8%
სპილენძის წყვილების ცვეთა	300 423	13%
სულ ხარჯები	**1 019 284**	
სულ ხარჯები და დატვირთული კაპიტალის ღირებულება	**2 354 844**	
დანახარჯი 1 კმ/არხზე თვეში, ლარი	**462,42**	**100%**

კომპანიის მიერ წარმოდგენილი და კომისიის სტატისტიკურ ბაზაში არსებული ინფორმაციის მიხედვით 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ახალი ქსელების“ მფლობელობაში იყო 424 კმ საკანალიზაციო არხი. აღნიშნული აქტივის საბალანსო ღირებულება 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 5 498 393 ლარს, ერთი არხ კილომეტრის საშუალო საბალანსო ღირებულება შეადგენს 12 957 ლარს.

კომპანიის მიერ წარმოდგენილი ძირითადი საშუალებების შესახებ ინფორმაციის მიხედვით არ ხერხდება იმ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების ზუსტი განსაზღვრა, რომლებიც სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურების და კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების მიწოდებაში მონაწილეობენ.

კომპანიის ზედნადები დანახარჯები მომსახურების სახეებზე გადანაწილებულია მომსახურების სახეებზე გაწეული პირდაპირი დანახარჯების პროპორციული წილის მიხედვით. კომპანიის ხელფასის ხარჯები მომსახურების სახეებზე მიკუთვნებულია საშტატო განრიგის მიხედვით.

შპს „ახალი ქსელების“ მიერ წარმოდგენილი საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების დანახარჯების გაანგარიშების მოდელის მიხედვით 2013 წლის მონაცემებით ერთ თვეში ერთ არხ კილომეტრზე საოპერაციო დანახარჯები შეადგენს 102 ლარს, ზედნადები დანახარჯები შეადგენს 39 ლარს, ერთი კილომეტრი საკანალიზაციო არხის ცვეთის ხარჯი შეადგენს 59 ლარს, ხოლო კაპიტალის ღირებულება ერთ კილომეტრ საკანალიზაციო არხის შეადგენს 262 ლარს.

შენიშვნა N 3. კომპანიის მიერ წარმოდგენილი WACC-ის გაანგარიშება არ შეესაბამება კომისიის 2006 წლის 20 აპრილის №5 დადგენილებით დამტკიცებული ”ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესებს”. წარმოდგენილი ინფორმაციით დატვირთული კაპიტალის ღირებულების გასაანგარიშებლად გამოყენებული WACC-ის (კაპიტალის საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთი) ოდენობა შეადგენს 24,29 %-ს აღნიშნული არ შეესაბამება კომისიის მიერ გაანგარიშებულ 2012 წლის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი ავტორიზებული პირების საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის წლიური განაკვეთის გასაშუალოებულ ოდენობას „Rm”-ს (9.4%).

შენიშვნა №2-ის გათვალისწინებით, კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტმა WACC-ის კორექტირებით (WACC შემცირდა 10%-მდე) შპს „ახალი ქსელების“ მიერ წარმოდგენილ მოდელში შეიტანა მაკორექტირებელი გაანგარიშებები. კორექტირებით მიღებული შედეგები მოცემულია ცხრილი N1.6-ში.

ცხრილი N1.6

	კორექტირებული	
კანალიზაციის სიგრძე, კმ/არხი	424	
WACC	**10,00%**	
საბალანსო ნარჩენი ღირებულება	**31.12.2013**	**ხარჯის %**
სატელეკომუნიკაციო ჭები და არხები	5 498 393	
კაპიტალის ღირებულება	**549 839**	35%
ხარჯის ტიპი		
საოპერაციო ხარჯები სახაზო ქსელი	520 926	33%
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	197 935	13%
სპილენძის წყვილების ცვეთა	300 423	19%
სულ ხარჯები	**1 019 284**	
სულ ხარჯები და დატვირთული კაპიტალ	**1 569 123**	
დანახარჯი 1 კმ/არხზე თვეში, ლარი	**308,13**	**100%**

1.2.4 შპს „ახატელი“

შპს „ახტელის“ მიერ მიერ წარმოდგენილი წერილი (კომისიაში რეგისტრაციის N 6/5937-14 ნომერი, 24 სექტემბერი 2014წ.) საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების დანახარჯების მოდელი მომზადებულია შპს „ახტელის“ 2013 წლის ფინანსური/ საბუღალტრო და ტექნიკური მონაცემების საფუძველზე.

საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების დანახარჯების დაჯგუფება დანახარჯების ტიპისა და შინაარსის მიხედვით მოცემულია ცხრილ N 1.7-ში:

ცხრილი N1.7

	წარმოდგენილი	
კანალიზაციის სიგრძე, კმ/არხი	272	
WACC	**24,29%**	
საბალანსო წარჩენი ღირებულება	**31.12.2013**	**ხარჯის %**
სატელეკომუნიკაციო ჭები და არხები	2 357 904	
კაპიტალის ღირებულება	**572 735**	62%
ხარჯის ტიპი		
საოპერაციო ხარჯები სახაზო ქსელი	184 193	20%
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	44 503	5%
სპილენძის წყვილების ცვეთა	119 539	13%
სულ ხარჯები	**348 235**	
სულ ხარჯები და დატვირთული კაპიტალის ღირებულება	**920 970**	100%
დანახარჯი 1 კმ/არხზე თვეში, ლარი	**282,15**	

კომპანიის მიერ წარმოდგენილი და კომისიის სტატისტიკურ ბაზაში არსებული ინფორმაციის მიხედვით 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ახტელის“ მფლობელობაში იყო 272 კმ საკანალიზაციო არხი. აღნიშნული აქტივის საბალანსო ღირებულება 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 2 357 904 ლარს, ერთი არხ კილომეტრის საშუალო საბალანსო ღირებულება შეადგენს 8 668 ლარს.

კომპანიის მიერ წარმოდგენილი ძირითადი საშუალებების შესახებ ინფორმაციის მიხედვით არ ხერხდება იმ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების ზუსტი განსაზღვრა, რომლებიც სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურების და კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების მიწოდებაში მონაწილეობენ.

კომპანიის ზედნადები დანახარჯები მომსახურების სახეებზე გადანაწილებულია მომსახურების სახეებზე გაწეული პირდაპირი დანახარჯების პროპორციული წილის მიხედვით. კომპანიის ხელფასის ხარჯები მომსახურების სახეებზე მიკუთვნებულია საშტატო განრიგის მიხედვით.

შპს „ახტელის“ მიერ წარმოდგენილი საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების დანახარჯების გაანგარიშების მოდელის მიხედვით 2013 წლის მონაცემებით ერთ თვეში საშუალოდ ერთ არხ კილომეტრზე საოპერაციო დანახარჯები შეადგენს 56 ლარს, ზედნადები დანახარჯები შეადგენს 14 ლარს, საკანალიზაციო არხის ერთ კილომეტრზე ცვეთის ხარჯი შეადგენს 37 ლარს, ხოლო კაპიტალის ღირებულება საკანალიზაციო არხის ერთ კილომეტრზე შეადგენს 72 ლარს.

შენიშვნა N 4. კომპანიის მიერ წარმოდგენილი WACC-ის გაანგარიშება არ შეესაბამება კომისიის 2006 წლის 20 აპრილის №5 დადგენილებით დამტკიცებული ”ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესებს”. წარმოდგენილი ინფორმაციით დატვირთული კაპიტალის ღირებულების გასაანგარიშებლად გამოყენებული WACC-ის (კაპიტალის საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთი) ოდენობა შეადგენს 24,29 %-ს აღნიშნული არ შეესაბამება კომისიის მიერ გაანგარიშებულ 2012 წლის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი ავტორიზებული პირების საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის წლიური განაკვეთის გასაშუალოებულ ოდენობას „Rm”-ს (9.4%).

შენიშვნა №2-ის გათვალისწინებით, კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტმა WACC-ის კორექტირებით (WACC შემცირდა 10%-მდე) შპს „ახტელის“ მიერ წარმოდგენილ მოდელში შეიტანა მაკორექტირებელი გაანგარიშებები. კორექტირებით მიღებული შედეგები მოცემულია ცხრილი N 1.8- ში:

ცხრილი N1.8

	კორექტირებული	
კანალიზაციის სიგრძე, კმ/არხი	272	**კმ/არხი**
WACC	**10,00%**	
საბალანსო ნარჩენი ღირებულება	**31.12.2013**	**ხარჯის %**
სატელეკომუნიკაციო ჭები და არხები	2 357 904	
კაპიტალის ღირებულება	**235 790**	40%
ხარჯის ტიპი		
საოპერაციო ხარჯები სახაზო ქსელი	184 193	32%
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	44 503	8%
სპილენძის წყვილების ცვეთა	119 539	20%
სულ ხარჯები	**348 235**	
სულ ხარჯები და დატვირთული კაპიტალ	**584 025**	100%
დანახარჯი 1 კმ/არხზე თვეში, ლარი	**178,92**	

სპილენძის საბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტი

კომისიის სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების მიხედვით, სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილების ოდენობების მიხედვით:

ა) ქ. თბილისის გეოგრაფიულ საზღვარში სს "სილქნეტი" – (59,68 %) და შპს "ახალი ქსელები" შპს ახტელთან" ერთად (40,3 %) (როგორც აფილირებული პირები) წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს.

შენიშვნა: შპს "ახალი ქსელები" არის შპს "ახტელის" 100% წილის მესაკუთრე. შესაბამისად, შპს "ახალი ქსელები" და შპს "ახტელი" "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "ჰ[33]" ქვეპუნქტის თანახმად (ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირის საწარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი არანაკლებ 20 პროცენტია) წარმოადგენენ ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირებს, რის გამოც მათი საბაზრო წილის ოდენობა განხილულია ერთობლიობაში.

	თბილისი		
		სულ	%
1	შპს "ახალი ქსელები"	86020	21,60%
2	შპს "ახტელი"	74490	18,70%
3	სს "სილქნეტი"	237673	59,68%
4	შპს "კავკასუს ონლაინი"	10	0,00%
5	შპს "კავკასიის ციფრული ქსელები"	30	0,01%
6	შპს "ჯეოსელი"	48	0,01%
	სულ	398271	100,00%

ბ) ქ. ქუთაისის გეოგრაფიულ საზღვარში სს "სილქნეტი" – (30,40 %) და შპს "ახალი ქსელები" (69,90 %) წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს.

	ქუთაისი		
		სულ	%
1	შპს "ახალი ქსელები"	48620	69,60%
2	შპს "სილქნეტი"	21239	30,40%
	სულ	69859	100,00%

გ) ქ. ზუგდიდის გეოგრაფიულ საზღვარში სს "სილქნეტი" – (51,55 %) და შპს "ივერია ქსელები" (48,45 %) წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს.

	ზუგდიდი		
		სულ	%
1	შპს "ივერია ქსელი"	4230	48,45%
2	სს "სილქნეტი"	4500	51,55%
	სულ	8730	100,00%

დ) ქ. რუსთავის გეოგრაფიულ საზღვარში სს "სილქნეტი" – (27,96 %) და შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია" (66,82 %) წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს.

	რუსთავი		
		სულ	%
1	შპს " საქ.ცენტრალური.კავ. კორპორაცია"	29700	66,82%
2	სს "სილქნეტი"	12430	27,96%
3	შპს "მეტაკომი"	2320	5,22%
	სულ	44450	100,00%

ე) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიულ საზღვარში სს "სილქნეტი" – (67,48 %) და შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია" (32,52 %) წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს.

	ზესტაფონი		
		სულ	%
1	შპს "ახალი ქსელები"	3590	32,52%
2	სს "სილქნეტი"	7451	67,48%
	სულ	11041	100,00%

ვ) ქ. ფოთის გეოგრაფიულ საზღვარში სს "სილქნეტი" – (80,40 %) წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს.

	ფოთი		
		სულ	%
1	შპს "ახალი ქსელები"	2600	19,60%
2	სს "სილქნეტი"	10665	80,40%
	სულ	13265	100,00%

ზ) ქ. ბათუმის გეოგრაფიულ საზღვარში სს "სილქნეტი" – (90,78 %) წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს.

	ბათუმი		
		სულ	%
1	შპს "ა-ნეტი"	3350	9,22%
2	სს "სილქნეტი"	33000	90,78%
	სულ	36350	100,00%

თ) ბოლნისის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიულ საზღვარში სს "სილქნეტი" – (84,62 %) წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს.

	ბოლნისი		
		სულ	%
1	შპს "ბოლნისის ახალი ქსელები"	200	15,38%
2	სს "სილქნეტი"	1100	84,62%
	სულ	1300	100,00%

ი) სამტრედიის მუნიციპალიტეტში გეოგრაფიულ საზღვარში სს "სილქნეტი" – (54,22 %) და შპს "რკინიგზის ტელეკომი" (45,78%) წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს.

	სამტრედია		
		სულ	%
1	შპს "რკინიგზის ტელეკომი"	4010	45,78%
2	სს "სილქნეტი"	4750	54,22%
	სულ	8760	100,00%

კ) თერჯოლის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიულ საზღვარში სს "სილქნეტი" – (64,71 %) და შპს "ახალი ქსელები" (35,29 %) წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს.

	თერჯოლა		
		სულ	%

1	შპს "ახალი ქსელები"	600	35,29%
2	სს "სილქნეტი"	1100	64,71%
	სულ	1700	100,00%

ლ) პ) საქართველოს დანარჩენ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში, კერძოდ: თელავის, გურჯაანის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, ახმეტის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, ყვარლის, გარდაბანის, დმანისის, თეთრიწყაროს, წალკის, ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, მარტვილის, ჩხოროწყუს, ცაგერის, წალენჯიხის, სენაკის, ხობის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჭიათურის, თიანეთის, სტეფანწმინდის, საჩხერის, ქარელის, ქედის, ქობულეთის, ხულოს, შუახევის, ვანის, ამბროლაურის, ბაღდათის, ტყიბულის, ხარაგაულის, ხონის, სამტრედიის, აბაშის, დუშეთის და მცხეთის გეოგრაფიულ საზღვრებში სს "სილქნეტი" (100%) წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს.

2014 წლის 2 ნოემბერს შპს "რკინიგზის ტელეკომის"-გან კომისიაში მიღებულია წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ ქ. სამტრედიაში სპილენზის საკაბელო მეურნეობა შესულია ექსპლუატაციაში გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, ვერ ხერხდება აბონენტების დამატება და ხარისხის შენარჩუნება, ვინაიდან კაბელების ხანდაზმულობის გამო კაბელების იზოლაცია დარღვეულია, აღნიშნული გარემოების გამო შპს "რკინიგზის ტელეკომი" ახდენს საკაბელო მეურნეობის ეტაპობრივ დემონტაჟს. შესაბამისად, შპს "რკინიგზის ტელეკომმა" წერილზე თანდართული ინფორმაციით დააზუსტა სამტრედიის მუნიციპალიტეტში სპილენზის წყვილების რაოდენობა, კერძოდ, სამტედიაში სპილენძის საკაბელო წყვილების რაოდენობა დღეის მდგომარეობით შეადგენს 740 წყვილს. აღნიშნულიდან გამომდინარე ქ. სამტრედიაში მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს წარმოადგენს მხოლოდ სს სილქნეტი (86,52 %)

	სამტრედია		
		სულ	%
1	შპს "რკინიგზის ტელეკომი"	740	13,48%
2	სს "სილქნეტი"	4750	86,52%
	სულ	5490	100,00%

2. სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურების დანახარჯები

2.1 შპს „ივერია ქსელი"

სს „ივერია ქსელი" მიერ წარმოდგენილი (წერილი N 7, 20 მარტი 2014წ.) სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურების დანახარჯების მოდელი მომზადებულია შპს „ივერია ქსელის" 2013 წლის ფინანსური/ საბუღალტრო და ტექნიკური მონაცემების საფუძველზე.

სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურების დანახარჯების დაჯგუფება დანახარჯების ტიპისა და შინაარსის მიხედვით მოცემულია ცხრილ N 2.1-ში:

ცხრილი N 2.1

ადგილობრივი დაშვების ქსელის ელემენტებთან დაშვების დანახარჯები	წლიური დანახარჯი	ხარჯის წილი მთლიან ხარჯებში
პირდაპირი დანახარჯები		
ამორტიზაცია	17 413	18%
შრომის ანაზღაურების დანახარჯები	19 080	20%
მატერიალური დანახარჯები	3 999	4%
დანახარჯები საწვავზე	1 130	1%
ელექტროენერგიის დანახარჯები	1 040	1%
კაპიტალის ღირებულება (9,8%)	**31 709**	33%
სულ პირდაპირი დანახარჯები	**74 371**	
ზედნადები ხარჯები	22 155	23%
სულ დანახარჯები	**96 526**	**100%**
წყვილების რაოდენობა	**4 230**	
დანახარჯები ერთ წყვილზე წელიწადში	22,82	
დანახარჯები ერთ წყვილზე თვეში	1,90	

კომპანიის მიერ წარმოდგენილი და კომისიის სტატისტიკურ ბაზაში არსებული ინფორმაციის მიხედვით 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ივერია ქსელის“ მფლობელობაში იყო 4 230 სპილინძის წყვილი, აღნიშნული წყვილების საბალანსო ღირებულება 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 320,983 ლარს, ერთი წყვილი საშუალო საბალანსო ღირებულება შეადგენს 75.88 ლარს.

კომპანიის მიერ წარმოდგენილი ძირითადი საშალელების შესახებ ინფორმაციის მიხედვით არ ხერხდება იმ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების ზუსტი განსაზაღვრა, რომლებიც სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურების და კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების მიწოდებაში მონაწილეობენ.

კომპანიის ზედნადები დანახარჯები მომსახურეების სახეებზე გადანაწილებულია მომსახურების სახეებზე გაწეული პირდაპირი დანახარჯების პროპორციული წილის მიხედვით. კომპანიის ხელფასის ხარჯები მომსახურების სახეებზე მიკუთნებულია საშტატო განრიგის მიხედვით.

შპს „ივერია ქსელის“ მიერ წარმოდგენილი სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურების დანახარჯების გაანგარიშების მოდელის მიხედვით 2013 წლის მონაცემებით ერთ თვეში ერთ სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილზე საოპერაციო დანახარჯები შეადგენს 0,5 ლარს, ზედნადები დანახარჯები შეადგენს 0,44 ლარს, ერთი სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილის ცვეთის ხარჯი შეადგენს 0,34 ლარს, ხოლო კაპიტალის ღირებულება ერთი სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილზე შეადგენს 0,62 ლარს.

წარმოდგენილი ინფორმაციით დატვირთული კაპიტალის ღირებულება მიღებულია მომსახურების მისაწოდებლად აუცილებელი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ნეტო საბალანსო ღირებულების და WACC-ის (კაპიტალის საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთი) ნამრავლით. WACC -ის ოდენობა 2012 წლის მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებულ იქნა კომისის 2006 წლის 20 აპრილის N 5 დადგენილების მიხედვით.

2.2 შპს „ახალი ქსელები“

სს „ახალი ქსელების“ მიერ წარმოდგენილი წერილი (კომისიაში რეგისტრაციის N 6/5937-14 24 სექტემბერი 2014წ.) სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურების დანახარჯების მოდელი მომზადებულია შპს „ახალი ქსელების“ 2013 წლის ფინანსური/ საბუღალტრო და ტექნიკური მონაცემების საფუძველზე.

სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურების დანახარჯების დაჯგუფება დანახარჯების ტიპისა და შინაარსის მიხედვით მოცემულია ცხრილ N 2.2-ში:

ცხრილი N2.2

	წარმოდგენილი	
წყვილების რაოდენობა	148 171	
WACC	**24,29%**	
საბალანსო წარჩენი ღირებულება	**31.12.2013**	**ხარჯის %**
სპილენძის წყვილები	1 137 067	
კაპიტალის ღირებულება	**276 194**	15%
ხარჯის ტიპი		
საოპერაციო ხარჯები სასადგურე ნაწილი	83 814	5%
საოპერაციო ხარჯები სახაზო ქსელი	973 440	53%
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	401 723	22%
სპილენძის წყვილების ცვეთა	99 165	5%
სულ ხარჯები	**1 558 143**	
სულ ხარჯები და დატვირთული კაპიტალის ღირებულება	**1 834 336**	100%
დაწახარჯი ერთ წყვილზე, ლარი	**1,03**	

კომპანიის მიერ წარმოდგენილი და კომისიის სტატისტიკურ ბაზაში არსებული ინფორმაციის მიხედვით 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ახალი ქსელების“ მფლობელობაში იყო 148 171 სპილინძის წყვილი, აღნიშნული წყვილების საბალანსო ღირებულება 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 1 137 067 ლარს, ერთი წყვილი საშუალო საბალანსო ღირებულება შეადგენს 7,67 ლარს.

კომპანიის მიერ წარმოდგენილი ძირითადი საშალელების შესახებ ინფორმაციის მიხედვით არ ხერხდება იმ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების ზუსტი განსაზღვრა, რომლებიც სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურების და კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების მიწოდებაში მონაწილეობენ.

კომპანიის ზედნადები დანახარჯები მომსახურეების სახეებზე გადანაწილებულია მომსახურების სახეებზე გაწეული პირდაპირი დანახარჯების პროპორციული წილის მიხედვით. კომპანიის ხელფასის ხარჯები მომსახურების სახეებზე მიკუთვნებულია საშტატო განრიგის მიხედვით. რადგან ძირითადი საშუალებების შესახებ ინფორმაციის მიხედვით არ ხერხდება იმ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების ზუსტი განსაზღვრა, რომლებიც სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურებასა და კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების მიწოდებაში მონაწილეობენ, ამიტომ სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურებას საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების დანახარჯები არ დამატებია.

შპს „ახალი ქსელების“ მიერ წარმოდგენილი სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურების დანახარჯების გაანგარიშების მოდელის მიხედვით 2013 წლის მონაცემებით ერთ სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილზე საოპერაციო დანახარჯები თვეში შეადგენს 0,59 ლარს, ზედნადები დანახარჯები თვეში შეადგენს 0,23 ლარს, ერთი სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილის ცვეთის ხარჯი თვეში შეადგენს 0,06 ლარს, ხოლო კაპიტალის ღირებულება ერთი სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილზე შეადგენს 0,16 ლარს.

შენიშვნა N 5. კომპანიის მიერ წარმოდგენილი WACC-ის გაანგარიშება არ შეესაბამება კომისიის 2006 წლის 20 აპრილის №5 დადგენილებით დამტკიცებული ”ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესებს”. წარმოდგენილი ინფორმაციით დატვირთული კაპიტალის ღირებულების გასაანგარიშებლად გამოყენებული WACC-ის (კაპიტალის საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთი) ოდენობა შეადგენს 24,29 %-ს აღნიშნული არ შეესაბამება კომისიის მიერ გაანგარიშებულ 2012 წლის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი ავტორიზებული პირების საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის წლიური განაკვეთის გასაშუალოებულ ოდენობას „Rm”-ს (9.4%).

შენიშვნა №2-ის გათვალისწინებით, კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტმა WACC-ის კორექტირებით (WACC შემცირდა 10%-მდე) შპს „ახალი ქსელების“ მიერ წარმოდგენილ მოდელში შეიტანა მაკორექტირებელი გაანგარიშებები. კორექტირებით მიღებული შედეგები მოცემულია ცხრილი N 2.3-ში.

ცხრილი N2.3

	კორექტირებული	
წყვილების რაოდენობა	148 171	
WACC	**10,00%**	
საბალანსო წარჩენი ღირებულება	**31.12.2013**	**ხარჯის %**
სპილენძის წყვილები	1 137 067	
კაპიტალის ღირებულება	**113 707**	7%
ხარჯის ტიპი		
საოპერაციო ხარჯები სასადგურე ნაწილი	83 814	5%
საოპერაციო ხარჯები სახაზო ქსელი	973 440	58%
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	401 723	24%
სპილენძის წყვილების ცვეთა	99 165	6%
სულ ხარჯები	**1 558 143**	
სულ ხარჯები და დატვირთული კაპიტალის ღირებულება	**1 671 850**	100%
დანახარჯი ერთ წყვილზე, ლარი	**0,94**	

2.3 შპს „ახტელი“

შპს „ახტელის“ მიერ წარმოდგენილი წერილი კომისიაში (რეგისტრაციის N 6/5937-14 24 სექტემბერი 2014წ.) სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურების დანახარჯების მოდელი მომზადებულია შპს „ახალი ქსელების“ 2013 წლის ფინანსური/ საბუღალტრო და ტექნიკური მონაცემების საფუძველზე.

სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურების დანახარჯების დაჯგუფება დანახარჯების ტიპისა და შინაარსის მიხედვით მოცემულია ცხრილ N 2.4-ში:

ცხრილი N 2.4

	წარმოდგენილი	
წყვილების რაოდენობა	74 490	
WACC	**24,29%**	
საბალანსო წარჩენი ღირებულება	**31.12.2013**	**ხარჯის %**
სპილენძის წყვილები	1 946 131	
კაპიტალის ღირებულება	**472 715**	63%
ხარჯის ტიპი		
საოპერაციო ხარჯები სასადგურე ნაწილი	51 871	7%
საოპერაციო ხარჯები სახაზო ქსელი	123 681	16%
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	42 484	6%
სპილენძის წყვილების ცვეთა	60 142	8%
სულ ხარჯები	**278 178**	
სულ ხარჯები და დატვირთული კაპიტალის ღირებულება	**750 893**	100%
დანახარჯი ერთ წყვილზე, ლარი	**0,84**	

კომპანიის მიერ წარმოდგენილი და კომისიის სტატისტიკურ ბაზაში არსებული ინფორმაციის მიხედვით 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ახალი ქსელების“ მფლობელობაში იყო 74 490 სპილინძის წყვილი, აღნიშნული წყვილების საბალანსო ღირებულება 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 1 946 131 ლარს, ერთი წყვილი საშუალო საბალანსო ღირებულება შეადგენს 26,13 ლარს.

კომპანიის მიერ წარმოდგენილი ძირითადი საშალელების შესახებ ინფორმაციის მიხედვით არ ხერხდება იმ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების ზუსტი განსაზაღვრა, რომლებიც სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურების და კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების მიწოდებაში მონაწილეობენ.

კომპანიის ზედნადები დანახარჯები მომსახურეების სახეებზე გადანაწილებულია მომსახურების სახეებზე გაწეული პირდაპირი დანახარჯების პროპორციული წილის მიხედვით. კომპანიის ხელფასის ხარჯები მომსახურების სახეებზე მიკუთვნებულია საშტატო განრიგის მიხედვით. რადგან ძირითადი საშუალებების შესახებ ინფორმაციის მიხედვით არ ხერხდება იმ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების ზუსტი განსაზაღვრა, რომლებიც სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურებასა და კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების მიწოდებაში მონაწილეობენ, ამიტომ სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურებას საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების დანახარჯები არ დამატებია.

შპს „ახტელის“ მიერ წარმოდგენილი სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურების დანახარჯების გაანგარიშების მოდელის მიხედვით 2013 წლის მონაცემებით ერთ თვეში ერთ სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილზე საოპერაციო დანახარჯები შეადგენს 0,20 ლარს, ზედნადები დანახარჯები შეადგენს 0,05 ლარს, ერთი სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილის ცვეთის ხარჯი შეადგენს 0,07 ლარს, ხოლო კაპიტალის ღირებულება ერთი სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილზე შეადგენს 0,53 ლარს. კომპანიის ზედნადები დანახარჯები მომსახურეების სახეებზე გადანაწილებულია მომსახურების სახეებზე გაწეული პირდაპირი დანახარჯების პროპორციული წილის მიხედვით.

შენიშვნა N 6. კომპანიის მიერ წარმოდგენილი WACC-ის გაანგარიშება არ შეესაბამება კომისიის 2006 წლის 20 აპრილის №5 დადგენილებით დამტკიცებული ”ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესებს”. წარმოდგენილი ინფორმაციით დატვირთული კაპიტალის ღირებულების გასაანგარიშებლად გამოყენებული WACC-ის (კაპიტალის საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთი) ოდენობა შეადგენს 24,29 %-ს აღნიშნული არ შეესაბამება კომისიის მიერ გაანგარიშებულ 2012 წლის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი ავტორიზებული პირების საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის წლიური განაკვეთის გასაშუალოებულ ოდენობას „Rm”-ს (9.4%).

შენიშვნა №2-ის გათვალისწინებით, კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტმა WACC-ის კორექტირებით (WACC შემცირდა 10%-მდე) შპს „ახტელის“ მიერ წარმოდგენილ მოდელში შეიტანა მაკორექტირებელი გაანგარიშებები. კორექტირებით მიღებული შედეგები მოცემულია ცხრილი N 2.5 ში:

ცხრილი N 2.5

	კორექტირებული	
წყვილების რაოდენობა	74 490	
WACC	**10,00%**	
საბალანსო წარჩენი ღირებულება	**31.12.2013**	**ხარჯის %**
სპილენძის წყვილები	1 946 131	
კაპიტალის ღირებულება	**194 613**	41%
ხარჯის ტიპი		
საოპერაციო ხარჯები სასადგურე ნაწილი	51 871	11%
საოპერაციო ხარჯები სახაზო ქსელი	123 681	26%
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	42 484	9%
სპილენძის წყვილების ცვეთა	60 142	13%
სულ ხარჯები	**278 178**	
სულ ხარჯები და დატვირთული კაპიტალის ღირებულება	**472 791**	100%
დანახარჯი ერთ წყვილზე, ლარი	**0,53**	

2.4 შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“

შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ მიერ წარმოდგენილი (წერილი კომისიაში რეგისტრაციის N 6/5937-14, 24 სექტემბერი 2014წ.) სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურების დანახარჯების მოდელი მომზადებულია შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ 2013 წლის ფინანსური/ საბუღალტრო და ტექნიკური მონაცემების საფუძველზე.

სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურების დანახარჯების დაჯგუფება დანახარჯების ტიპისა და შინაარსის მიხედვით მოცემულია ცხრილ N 2.6-ში:

ცხრილი N 2.6

	წარმოდგენილი	
წყვილების რაოდენობა	29 700	
WACC	**24,29%**	
საბალანსო წარჩენი ღირებულება	**31.12.2013**	**ხარჯის %**
სპილენძის წყვილები	1 355 194	
კაპიტალის ღირებულება	**329 177**	35%
ხარჯის ტიპი		
საოპერაციო ხარჯები	250 321	27%
კანალიზაციის ხარჯი ადგილობრივი დაშვების ქსელზე	29 986	3%
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	44 652	5%
სპილენძის წყვილების ცვეთა	278 909	30%
სულ ხარჯები	**603 868**	
სულ ხარჯები და დატვირთული კაპიტალის ღირებულება	**933 044**	100%
დანახარჯი ერთ წყვილზე, ლარი	**2,62**	

კომპანიის მიერ წარმოდგენილი და კომისიის სტატისტიკურ ბაზაში არსებული ინფორმაციის მიხედვით 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ მფლობელობაში იყო 29 700 სპილინძის წყვილი, აღნიშნული წყვილების საბალანსო ღირებულება 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 1 355 194 ლარს, ერთი წყვილის საშუალო საბალანსო ღირებულება შეადგენს 45,63 ლარს.

კომპანიის ზედნადები დანახარჯები მომსახურეების სახეებზე გადანაწილებულია მომსახურების სახეებზე გაწეული პირდაპირი დანახარჯების პროპორციული წილის მიხედვით. კომპანიის ხელფასის ხარჯები მომსახურების სახეებზე მიკუთვნებულია საშტატო განრიგის მიხედვით.

შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ მიერ წარმოდგენილი სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურების დანახარჯების გაანგარიშების მოდელის მიხედვით 2013 წლის მონაცემებით ერთ სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილზე საოპერაციო დანახარჯები თვეში შეადგენს 0,79 ლარს, ზედნადები დანახარჯები თვეში შეადგენს 0,13 ლარს, ერთი სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილის ცვეთის ხარჯი თვეში შეადგენს 0,78 ლარს, ხოლო კაპიტალის ღირებულება ერთი სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილზე შეადგენს 0,92 ლარს.

შენიშვნა N 7. კომპანიის მიერ წარმოდგენილი WACC-ის გაანგარიშება არ შეესაბამება კომისიის 2006 წლის 20 აპრილის №5 დადგენილებით დამტკიცებული ”ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესებს”. წარმოდგენილი ინფორმაციით დატვირთული კაპიტალის ღირებულების გასაანგარიშებლად გამოყენებული WACC-ის (კაპიტალის საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთი) ოდენობა შეადგენს 24,29 %-ს აღნიშნული არ შეესაბამება კომისიის მიერ გაანგარიშებულ 2012 წლის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი ავტორიზებული პირების საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის წლიური განაკვეთის გასაშუალოებულ ოდენობას „Rm”-ს (9.4%).

შენიშვნა №2-ის გათვალისწინებით, კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტმა WACC-ის კორექტირებით (WACC შემცირდა 10%-მდე) შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ მიერ წარმოდგენილ მოდელში შეიტანა მაკორექტირებელი გაანგარიშებები. კორექტირებით მიღებული შედეგები მოცემულია ცხრილი N- 2.7 ში:

ცხრილი N 2.7

კორექტირებული		
წყვილების რაოდენობა	29 700	
WACC	**10,00%**	
საბალანსო წარჩენი ღირებულება	**31.12.2013**	**ხარჯის %**
სპილენძის წყვილები	1 355 194	
კაპიტალის ღირებულება	**135 519**	18%
ხარჯის ტიპი		
საოპერაციო ხარჯები	250 321	33%
კანალიზაციის ხარჯი ადგილობრივი დაშვების	48 122	6%
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	44 652	6%
სპილენძის წყვილების ცვეთა	278 909	37%
სულ ხარჯები	**622 004**	
სულ ხარჯები და დატვირთული კაპიტალის ღირებულება	**757 524**	100%
დანახარჯი ერთ წყვილზე, ლარი	**2,13**	

2.5 სს „სილქნეტი“

სს „სილქნეტის“ მიერ წარმოდგენილი (წერილი N 4052/01-8, 23 ოქტომბერი 2014წ.) სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურების დანახარჯების მოდელი მომზადებულია სს „სილქნეტის“ 2013 წლის ფინანსური/ საბუღალტრო და ტექნიკური მონაცემების საფუძველზე.

სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურების დანახარჯების დაჯგუფება დანახარჯების ტიპისა და შინაარსის მიხედვით მოცემულია ცხრილ N 2.8-ში:

ცხრილი N 2.8

	წარმოდგენილი
სპილენძის წყვილების დატვირთული ტევადობა	304 106
ნარჩენი ღირებულება	**31.12.2013**
სპილენძის წყვილები	4 370 204
კაპიტალის ღირებულება	**446 953**
ხარჯის ტიპი	
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	127 995
სპილენძის წყვილების ცვეთა	640 778
შრომის ანაზღაურების დანახარჯები	282 937
საკანალიზაციო არხის თვითღირებულება	1 819 027
სულ	**2 870 737**
დანახარჯი ერთ წყვილზე, ლარი	**0,91**

შენიშვნა N 8. სს „სილქნეტის“ მიერ წარმოდგენილი სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურების დანახარჯების ერთ წყვილზე გაანგარიშებისას კომპანიამ 2013 წლის განმავლობაში სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებზე გაწეული საოპერაციო ხარჯების, ზედნადები დანახარჯების და კაპიტალის ღირებულების ჯამი გაყო კომპანიის მიერ დაკავებული (საკუთარი და იჯარით გაცემული) წყვილების რაოდენობაზე. გაანგარიშებაში არ იქნა გათვალისწინებული თავისუფალი წყვილების რაოდენობა.

კომპანიის მიერ წარმოდგენილი და კომისიის სტატისტიკურ ბაზაში არსებული ინფორმაციის მიხედვით 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „სილქნეტის“ მფლობელობაში იყო 449 033 სპილინძის წყვილი, აღნიშნული წყვილების საბალანსო ღირებულება 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 4 370 204 ლარს, ერთი წყვილის საშუალო საბალანსო ღირებულება შეადგენს 9,73 ლარს.

კომპანიის ზედნადები დანახარჯები მომსახურების სახეებზე გადანაწილებულია მომსახურების სახეებზე გაწეული პირდაპირი დანახარჯების პროპორციული წილის მიხედვით.

შრომითი რესურსების დანახარჯები შემდეგი სახის მომსახურებებზე: PSTN, ADSL Int, DSL IPTV, VOIP, FO Int, Silk Tv, CDMA Fix, CDMA Mob გადანაწილებულია შესაბამისი მომსახურებების მოცულობების/სერვისების რაოდენობების მიხედვით; სხვა დანარჩენ მომსახურებებზე ხელფასის ხარჯები მიკუთვნებულია ამ მომსახურებების შემოსავლების პროპორციული წილის მიხედვით.

სს „სილქნეტის“ მიერ წარმოდგენილი სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურების დანახარჯების გაანგარიშების მოდელის მიხედვით 2013 წლის მონაცემებით ერთ სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილზე საოპერაციო დანახარჯები თვეში შეადგენს 0,53 ლარს, ზედნადები დანახარჯები თვეში შეადგენს 0,02 ლარს, ერთი სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილის ცვეთის ხარჯი თვეში შეადგენს 0,12 ლარს, ხოლო კაპიტალის ღირებულება ერთი სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილზე შეადგენს 0,08 ლარს.

კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტმა ზემოაღნიშნული შენიშვნა N8-ის და საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების დანახარჯების მოდელთან დაკავშირებული შენიშვნა N 1-ის გათვალისწინებით სს „სილქნეტის“ მიერ წარმოდგენილ მოდელში შეიტანა მაკორექტირებელი გაანგარიშებები. კორექტირებით მიღებული შედეგები მოცემულია ცხრილი N 2.9- ში:

ცხრილი N 2.9

	წარმოდგენილი	სრულ წყვილებზე
სპილენძის წყვილების დატვირთული ტევადობა	304 106	449 033
ნარჩენი ღირებულება	**31.12.2013**	**31.12.2013**
სპილენძის წყვილები	4 370 204	4 370 204
კაპიტალის ღირებულება	**446 953**	**446 953**
ხარჯის ტიპი		
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	127 995	127 995
სპილენძის წყვილების ცვეთა	640 778	640 778
შრომის ანაზღაურების დანახარჯები	282 937	282 937
საკანალიზაციო არხის თვითღირებულება	1 819 027	473 963
სულ	**2 870 737**	**1 525 674**
დანახარჯი ერთ წყვილზე, ლარი	**0,91**	**0,37**
1 წყვილზე საკანალიზაციო თხრილის დანახარჯები	0,50	0,09

კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტმა აგრეთვე წარმოადგინა საერთო ხასიათის შენიშვნები და განმარტებები სს „სილქნეტის“, შპს „ახალი ქსელების“, შპს „ახტელის“, შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ და შპს „ივერია ქსელის“ მიერ წარმოდგენილი გაანგარიშების მოდელების თაობაზე:

1. აუდიტორულად შემოწმებული ფინანსური ანგარიშგებები (ბალანსი, მოგება ზარალი და სხვა უწყისები)

კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტს მიაჩნია, რომ ყურადღება უნდა მიექცეს გარემოებას, რომ კომპანიების მიერ წარმოდგენილ გაანგარიშების მოდელებში გამოყენებული ფინანსური ანგარიშგების მონაცემები არ არის აუდირებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს კომისიისთვის წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობის დადასტურება, კომპანიებმა უნდა უზრუნველყონ აუდიტორის მიერ დამოწმებული 2013 წლის მონაცემებით მომზადებული შემოსავლებისა და ხარჯების განცალკევებულად აღრიცხვის ანგარიშის კომისიისთვის წარმოდგენა;

2. **დატვირთული კაპიტალის მოცულობა, ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები**

კომპანიების მიერ წარმოდგენილი ფინანსური მონაცემების მიხედვით სს „სილქნეტის“ გრძელვადიან აქტივებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით (აქტივების მომსახურების ვადის მიხედვით); ხოლო დანარჩენ კომპანიების: შპს „ახალი ქსელების“, შპს „ახტელის“, შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ და შპს „ივერია ქსელის“ გრძელვადიან აქტივებს ცვეთა ერიცხება საგადასახადო კოდექსის მიხედვით. კომპანიების მიერ გამოყენებული განსხვავებული ცვეთის მეთოდი იწვევს მომსახურების დანახარჯის და დატვირთული კაპიტალის განსხვავებული ოდენობის მიღებას;

3. **WACC**

„ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების შესახებ“ კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებაში კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების WACC გაანგარიშებასთან დაკავშირებით ცვლილება შევიდა კომისიის 2014 წლის 2 ოქტომბრის №6 დადგენილებით. იმის გათვალისწინებით, რომ: ა) საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზისთვის ოპერატორებისგან ინფორმაცია და დანახარჯების გაანგარიშების მოდელის მომზადება მოთხოვნილი იყო კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებაში აღნიშნული ცვლილებების შეტანამდე; ბ) ამასთან, მეთოდოლოგიურ წესებში შეტანილი ცვლილების მიხედვით WACC რეგულირებადი საქმიანობისთვის უნდა დადგინდეს კომისიის გადაწყვეტილებით („ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების” 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი), რომელიც კომისიას საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ საკითხის განხილვის მომენტისთვის დადგენილი არ აქვს, კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტმა გაანგარიშების მიზნებისთვის გამოიყენა 2012 წლის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი

ავტორიზებული პირების საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის წლიური განაკვეთის გასაშუალოებული ოდენობა.

კომისია აღნიშნავს, რომ:

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კონკურენტუნარიანობის კვლევისა და ანალიზის ჩატარებისას, ავტორიზებული პორის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმი არის ავტორიზებული პირის მიერ ბაზრის ამ სეგმენტზე დაკავებული ფარდობითი საბაზრო წილი. ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებული პირის მიერ დაკავებული ფარდობითი საბაზრო წილი განისაზღვრება მის მიერ მიღებული შემოსავლების, ბოლო მომხმარებელთა ან აბონენტთა რაოდენობის ან გარკვეულ პერიოდში მიწოდებული მომსახურების ჯამური მოცულობის (ტრაფიკის) წილობრივი მაჩვენებლების, აგრეთვე მის საკუთრებაში არსებული ქსელის შესაბამისი ელემენტების დატვირთული და თავისუფალი სიმძლავრეების ან ფუნქციონალური რესურსების რეზერვების გათვალისწინებით. ბაზრის შესაბამისი სეგმენტის მახასიათებლების გათვალისწინებით, კომისია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ობიექტურობის პრინციპიდან გამომდინარე, იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზებული პირის მიერ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე დაკავებული წილის გაზომვისა და სათანადო ძირითადი კრიტერიუმის გამოყენების შესახებ.

სახაზო საკაბელო წყვილებით და საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების მომსახურებების ბაზრის სეგმენტზე კონკურენტუნარიანობის კვლევისა და ანალიზის ჩატარებისას, ფარდობითი საბაზრო წილის განსაზღვრის მიზნით, კომისიამ იხელმძღვანელა ავტორიზებული პირების საკუთარებაში არსებული სახაზო-საკაბელო წყვილების და საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხების რაოდენობებით.

კომისია იზიარებს კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამანტის მიერ მომზადებულ დასკვნას საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების ტარიფის გაანგარიშების შესახებ. კერძოდ, ოპერატორების მიერ წარმოდგენილი და კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ კორექტირების შედეგად მიღებული საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების ტარიფების შედეგებს. კომისია აღნიშნავს, რომ მიღებული მონაცემები ცხადყოფს, რომ დღეს არსებული საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების ზედა ზღვრული ტარიფები (საკანალიზაციო მილის ერთ არხ კილომეტრზე თვეში გეოგრაფიულ ზონის მიხედვით თბილისი 916.71 ლარი; ქუთაისი 1 109.20 ლარი; რუსთავი 1 304.45 ლარი; ზუგდიდი 1 341.21 ლარი; ფოთი 484.64 ლარი; დანარჩენი საქართველო 1 332.19 ლარი) და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების ტარიფის ზედა ზღვრული ტარიფები (ფართოზოლოვან რესურსთან დაშვება 11.68 ლარი (გადასახადების გათვალისწინებით) არ შეესაბამება რეალობას და საჭიროებს შემცირებას.

კომისია აღნიშნავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მიერ დაწესებული ტარიფი უნდა ითვალისწინებდეს მომსახურებისათვის გამოყენებულ ქსელის შესაბამის ელემენტებზე, რესურსების და სიმძლავრეების უზრუნველყოფაზე გაწეული დანახარჯების ანაზღაურებას, შესაბამისად ზედა ზღვრილი ტარიფების შემცირების ფარგლებში კომპანიებს აქვს შესაძლებლობა აინაზღაურონ მიწოდებული მომსახურების უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯები. ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების ტარიფების დასადგენად იხელმძღვანელოს კომპანიების მიერ წარმოდგენილი ტარიფებიდან უმაღლესით, რაც უზრუნველყოფს კომპანიების რესურსების და სიმძლავრეების უზრუნველყოფაზე გაწეული დანახარჯების ანაზღაურებას.

ამავე დროს, კომისია იზიარებს კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამანტის მიერ მომზადებულ საერთო ხასიათის შენიშვნებს და განმარტებებს კომპანიების მიერ წარმოდგენილი გაანგარიშების მოდელების თაობაზე. ამავე დროს, კომისიას მიაჩნია, რომ ზედა ზღვრული ტარიფების სიზუსტის დასადგენად უნდა გაგრძელდეს კომისიის და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების მუშაობა გაანგარიშების მოდელებთან დაკავშირებით, რისთვისაც აუცილებელია შემოსავლების და დანახარჯების განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშების მომზადება. ამისათვის, კომისიას პირველ რიგში მიზანშეწონილად მიაჩნია, „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების შესახებ" კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებაში კონკრეტულ მომსახურებებთან დაკავშირებული ინფორმაციის დაზუსტების მიზნით შესაბამისი ცვლილებების შეტანა; რის შემდეგაც კომპანიების მიერ მომზადდება შემოსავლების და დანახარჯების განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშები. ამასთან, როგორც კომპანიების მიერ წარმოდგენილმა ინფორმაციამ აჩვენა, განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს სს "სილქნეტის" შემოსავლების და დანახარჯების განცალკევებული აღრიცხვის საკითხი; აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, კომისიას

მიაჩნია, რომ სს „სილქნეტმა“ კომისიაში უნდა წარმოადგინოს აუდიტორის მიერ დამოწმებული კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებით დამტკიცებული “ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების“ შესაბამისად მომზადებული ყოველწლიური შემოსავლების და დანახარჯების განცალკევებული აღრიცხვის ანგარიში. შემოსავლების და დანახარჯების განცალკევებული აღრიცხვის ანგარიში დამოწმებული უნდა იყოს „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის N411 დადგენილებით განსაზღვრული პირთა ნუსხიდან ნებისმიერი აუდიტორული კომპანიის მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის 22 -ე მუხლის, V თავის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე საქმიანობის განმახორციელებელი ავტორიზებული პირების ჯგუფი განისაზღვროს შემდეგნაირად:

1. შპს ” ახალი ქსელები”;
2. შპს ”ახტელი”;
3. სს ”სილქნეტი”;
4. შპს ”კავკასუს ონლაინი”;
5. შპს ”სისტემ ნეტი”;
6. შპს ”ჯეოსელი”;
7. შპს ”ივერია ქსელი”;
8. შპს ”საქ. ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია”;
9. შპს ”მეტაკომი”;
10. შპს ”ა-ნეტი”;
11. შპს ”რკინიგზის ტელეკომი”;
12. შპს ”მაგთიკომი”;
13. შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი”

2. სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე საქმიანობის განმახორციელებელი ავტორიზებული პირების ჯგუფი განისაზღვროს შემდეგნაირად:

1. შპს ” ახალი ქსელები”;
2. შპს ”ახტელი”;
3. სს ”სილქნეტი”;
4. შპს ”კავკასუს ონლაინი”;
5. შპს კავკასიის ციფრული ქსელები”;
6. შპს ”ჯეოსელი”;
7. შპს ”ივერია ქსელი”;
8. შპს ”საქ. ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია”;
9. შპს ”მეტაკომი”;
10. შპს ”ა-ნეტი”;
11. შპს ”რკინიგზის ტელეკომი”.

3. განისაზღვროს საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტების გეოგრაფიულ საზღვრად შემდეგი მომსახურების ზონები:

1. ქ. თბილისის ადგილობრივი მომსახურების ზონა
2. ქ. ქუთაისის ადგილობრივი მომსახურების ზონა
3. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
4. ქ. ფოთის ადგილობრივი მომსახურების ზონა
5. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
6. ქ. ზუგდიდის ადგილობრივი მომსახურების ზონა
7. ქ. რუსთავის ადგილობრივი მომსახურების ზონა
8. ქ. ბათუმის ადგილობრივი მომსახურების ზონა
9. აბაშას მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
10. ადიგენის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
11. ქ. ამბროლაურის ადგილობრივი მომსახურების ზონა
12. ასპინძის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
13. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა

14. ქ. ახალციხის ადგილობრივი მომსახურების ზონა
15. ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
16. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
17. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
18. გარდაბანის მუნიცპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
19. ქ. გორის ადგილობრივი მომსახურების ზონა
20. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
21. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
22. დმანისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
23. დუშეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
24. ვანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
25. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
26. ქ. თელავის ადგილობრივი მომსახურების ზონა
27. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
28. თიანეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
29. კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
30. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
31. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
32. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
33. მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
34. მარტვილის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
35. მცხეთის მუნიციპალიტეტის ადგილობტივი მომსახურების ზონა
36. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
37. ქ. ოზურგეთის ადგილობრივი მომსახურების ზონა
38. ონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
39. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
40. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
41. საჩხერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
42. სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
43. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
44. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
45. ქარელის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
46. ქედას მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
47. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
48. სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
49. ყვარელის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
50. შუახევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
51. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
52. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
53. ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
54. წალკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
55. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
56. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
57. ჭიათურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
58. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
59. ხაშურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
60. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
61. ხონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
62. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
63. ხულოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა

4. განისაზღვროს სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტების გეოგრაფიულ საზღვრად შემდეგი მომსახურების ზონები:

1. ქ. თბილისის ადგილობრივი მომსახურების ზონა
2. ქ. ქუთაისის ადგილობრივი მომსახურების ზონა
3. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
4. ქ. ფოთის ადგილობრივი მომსახურების ზონა

5. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
6. ქ. ზუგდიდის ადგილობრივი მომსახურების ზონა
7. ქ. რუსთავის ადგილობრივი მომსახურების ზონა
8. ქ. ბათუმის ადგილობრივი მომსახურების ზონა
9. აბაშას მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
10. ადიგენის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
11. ქ. ამბროლაურის ადგილობრივი მომსახურების ზონა
12. ასპინძის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
13. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
14. ქ. ახალციხის ადგილობრივი მომსახურების ზონა
15. ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
16. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
17. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
18. გარდაბანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
19. ქ. გორის ადგილობრივი მომსახურების ზონა
20. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
21. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
22. დმანისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
23. დუშეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
24. ვანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
25. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
26. ქ. თელავის ადგილობრივი მომსახურების ზონა
27. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
28. თიანეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
29. კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
30. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
31. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
32. მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
33. მარტვილის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
34. მცხეთის მუნიციპალიტეტის ადგილობტივი მომსახურების ზონა
35. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
36. ქ. ოზურგეთის ადგილობრივი მომსახურების ზონა
37. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
38. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
39. საჩხერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
40. სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
41. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
42. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
43. ქარელის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
44. ქედას მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
45. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
46. სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
47. ყვარელის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
48. შუახევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
49. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
50. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
51. ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
52. წალკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
53. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
54. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
55. ჭიათურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
56. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
57. ხაშურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
58. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
59. ხონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
60. ხულოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა

5. განისაზღვროს საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ შემდეგი ავტორიზებული პირები:

ა) ქ.თბილისში - სს „სილქნეტი“;

გ) ქ.რუსთავში – სს „სილქნეტი“ და შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“;

გ) ზესტაფონის მუნიციპალიტეტში – სს „სილქნეტი“ და შპს „ახალი ქსელები“;

დ) საქართველოს დანარჩენ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში - სს „სილქნეტი“;

6. განისაზღვროს სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ შემდეგი ავტორიზებული პირები:

ა) ქ.თბილისში - სს „სილქნეტი“, შპს „ახალი ქსელები“ და შპს „ახტელი“;

ბ) ქ.ქუთაისში – სს „სილქნეტი“ და შპს „ახალი ქსელები“;

გ) ქ.რუსთავში – სს „სილქნეტი“ და შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“;

დ) ქ.ზუგდიდში – სს „სილქნეტი“ და შპს „ივერია ქსელი“;

ე) ზესტაფონის მუნიციპალიტეტში – სს „სილქნეტი“ და შპს „ახალი ქსელები“;

ვ) სამტრედიის მუნიციპალიტეტში - სს „სილქნეტი“;

ე) თერჯოლის მუნიციპალიტეტში – სს „სილქნეტი“ და შპს „ახალი ქსელები“;

ზ) საქართველოს დანარჩენ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში - სს „სილქნეტი“;

7. საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე ამ გადაწყვეტილების მე-5 პუნქტით განსაზღვრულ, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს, ამავე გადაწყვეტილების მე-3 პუნქტით განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვრებში, დაეკისროს შემდეგი სპეციფიკური ვალდებულებები:

7.1. **ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება,** შემდეგი კონკრეტული პირობებით:

ა) 2014 წლის 31 დეკემბრამდე საჯაროდ გამოაქვეყნოს საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების განახლებული შეთავაზების წინადადება (მოწვევის ოფერტა); მოწვევის ოფერტაში ასახული უნდა იქნეს საკუთარი მომსახურების მიწოდების არსებითი პირობები, მათ შორის:

ა.ა) დაშვების ტარიფები, განზომილების შესაბამის ერთეულებში ლარი არხ/ადგილი/კმ თვეში;

ა.ბ) საკანალიზაციო არხებთან დაშვების ანგარიშსწორების პირობები;

ა.გ) ხელშეკრულების გაფორმების ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მოწვევის ოფერტაზე მსურველი პირის მიერ აქცეპტის წარმოდგენის თარიღიდან არაუმეტეს 20 კალენდარულ დღეს;

ა.დ) საკანალიზაციო არხებში სხვა ავტორიზებული პირების კაბელების გატარების ან/და კაბელების ტერმინალურ სეგმენტებთან (თავისუფალ თანალოკაციის ფართზე, მათ შორის ტექნიკურად შესაძლებელ დაშვების წერტილებთან) დაშვების პირობები;

ა.ე) საკანალიზაციო არხებში გატარებული კაბელების ტერმინალურ სეგმენტებთან (თანალოკაციის ფართზე დაშვების წერტილებში) მომსახურე პერსონალის დაშვების პირობები;

ა.ვ) საკანალიზაციო არხებში მსურველი ავტორიზებული პირისათვის დამატებითი სიმძლავრეების გამოყოფის პროცედურები და პირობები, მათ შორის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 20 კალენდარულ დღეს;

ა.ზ) საკანალიზაციო არხებთან მსურველი პირების დაშვების თაობაზე ხელშეკრულების გაფორმების პროცედურები;

ა.თ) მოწვევის ოფერტის მოქმედების არანაკლებ 1 წლიანი ვადა.

ბ) მოქმედი მოწვევის ოფერტის მოქმედების ვადის დასრულებამდე არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულმა პირმა კომისიაში წარმოადგინოს საჯაროდ გამოქვეყნებული მოწვევის ოფერტის არსებით პირობებში, შესაძლო ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე დოკუმენტაცია და მოქმედი მოწვევის ოფერტის ვადის დასრულებამდე 10 კალენდარული დღით ადრე გამოაქვეყნოს ახალი (ან მოდიფიცირებული პირობებით) მოწვევის ოფერტა;

7.2. **დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება,** შემდეგი კონკრეტული პირობებით:

ა) საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების მსურველი (აქცეპტანტი) ავტორიზებული პირისათვის მიწოდება იმგვარი არადისკრიმინაციული და ერთგვაროვანი პირობებით (მათ შორის ტარიფებით, ხარისხით, მიწოდების ვადებით), რომლებიც არანაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე საკუთარი სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის**,** აფილირებული ან/და სხვა ურთიერთჩართული ავტორიზებული პირებისათვის ან/და შიდა მოხმარებისთვის;

ბ) საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების მომსახურების პირობების (მათ შორის ტექნიკური ხასიათის) თაობაზე ინფორმაციის ყველა მსურველი ავტორიზებული პირისათვის შეუზღუდავად, გამჭვირვალედ და არადისკრიმინაციულად მიწოდება;

7.3. **დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება,** შემდეგი კონკრეტული პირობით:

მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი ვალდებულია არ დაუშვას კონკურენციის შემზღუდავი ქმედებები, მათ შორის, მომხმარებელთა რომელიმე ჯგუფის სატარიფო შეღავათების სუბსიდირება სხვა ავტორიზებულ პირთა ან მომხმარებელთა ჯგუფების ხარჯზე;

7.4. **სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება** შემდეგი კონკრეტული პირობებით:

ა) საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე, ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრულ, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებს: სს "სილქნეტს ", შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციას", შპს „ახალ ქსელებს" და შპს „ახტელს" ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვრებში, 100 მმ-იანი საკანალიზაციო მილის ერთ არხ კილომეტრზე თვეში იმ გეოგრაფიულ ზონაში სადაც ეს კომპანიები ცნობილნი არიან მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებად, დაუდგინდეს ელექტრონულ საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურებაზე ზედა ზღვრული ტარიფი 370 ლარის ოდენობით, გადასახადების გარეშე;

ბ) საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების მსურველი (აქცეპტანტი) პირებისათვის მომსახურების მიწოდება განახორციელოს კონკურენციის უზრუნველმყოფი, დანახარჯებზე ორიენტირებული და არადისკრიმინაციული ტარიფით, რომლის ოდენობაც დადგენილ უნდა იქნას, ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული ზღვრული ტარიფის ფარგლებში;

გ) სს „სილქნეტმა" საკუთარ საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელის ზომის (დიამეტრის) მიხედვით გატარების მომსახურების ტარიფის გაანგარიშებისას საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელის გატარებისთვის საჭირო თავისუფალი სივრცე არ უნდა გაითვალისწინოს, რადგან 100 მმ-იანი საკანალიზაციო მილის ტარიფის გაანგარიშებისას კაბელის გატარებისთვის საჭირო თავისუფალი სივრცე ამ მილის 25%-ის ოდენობით გათვალისწინებულ იქნა. ბაზრის ამ სეგმენტზე, ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრულ, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე სხვა პირებს აღნიშნული წესი არ ეხებათ;

დ) ზღვრული ტარიფების ამოქმედების ვადად განისაზღვროს 2015 წლის 1 იანვარი;

7.5 **ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება, შემდეგი კონკრეტული პირობებით:**

ა) საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულმა პირმა უზრუნველყოს საკუთარი ქსელის ტექნიკურ საშუალებებთან და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეებთან სხვა ავტორიზებული პირის შეუზღუდავი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული დაშვება;

ბ) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულმა პირმა საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე დაშვების ვალდებულების ჯეროვნად შესრულების მიზნით უზრუნველყოს საკუთარი ქსელის შესაბამისი ელემენტების ფუნქციონალური და ტექნიკური მახასიათებლები კანონმდებლობით დადგენილი ტექნიკური სტანდარტების დონეზე;

8. სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე ამ გადაწყვეტილების მე-6 პუნქტით განსაზღვრულ, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს, ამავე გადაწყვეტილების მე-4 პუნქტით განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვრებში, დაეკისროს შემდეგი სპეციფიკური ვალდებულებები:

8.1. **ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება,** შემდეგი კონკრეტული პირობებით:

ა) 2014 წლის 31 დეკემბრამდე საჯაროდ გამოაქვეყნოს სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების განახლებული შეთავაზების წინადადება (მოწვევის ოფერტა); მოწვევის ოფერტაში ასახული უნდა იქნეს საკუთარი მომსახურების მიწოდების არსებითი პირობები, მათ შორის:

ა.ა) დაშვების ტარიფები, განზომილების შესაბამის ერთეულებში ლარი/სააბონენტო წყვილი თვეში;

ა.ბ) სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების ანგარიშსწორების პირობები;

ა.გ) სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების განხორციელების პროცედურები, მათ შორის სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვანი რესურსების გამოყოფაზე განაცხადების მიღების, განხილვის პირობები და პროცედურები - პირველი შემოსული განაცხადის მომსახურების პრინციპის შესაბამისად. აგრეთვე, გამოყოფილი წყვილების ფართოზოლოვანი რესურსების ფიზიკური პარამეტრების ტესტირების პირობები.

ა.დ) კონკრეტული ადგილობრივი მომსახურების ზონის გეოგრაფიულ საზღვრებში ადგილობრივი დაშვების ქსელის კონკრეტული თანალოკაციის ფართის მისამართი, თავისუფალი თანალოკაციის ფართის ფართობი, ამ ფართზე დაშვების პირობები, მათ შორის არასაქციონირებული შეღწევისაგან დაცვის, ამ ფართზე ავტორიზებული პირის მომსახურე ტექნიკური პერსონალის დაშვების, ელექტროენერგიით და საჭიროების შემთხვევაში წყლით, აგრეთვე კონდიციონირებით, უზრუნველყოფის პირობები, შესაბამისი საფასურის მითითებით;

ა.ე) ხელშეკრულების გაფორმების ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მოწვევის ოფერტაზე მსურველი პირის მიერ აქცეპტის წარმოდგენის თარიღიდან არაუმეტეს 20 კალენდარულ დღეს;
ა.ვ) სახაზო-საკაბელო წყვილებთან დაშვების მსურველი ავტორიზებული პირისათვის დამატებითი სიმძლავრეების გამოყოფის პროცედურები და პირობები, მათ შორის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 20 კალენდარულ დღეს;
ა.ზ) სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების მსურველი პირების დაშვების თაობაზე ხელშეკრულების გაფორმების პროცედურები;
ა.თ) მოწვევის ოფერტის მოქმედების არანაკლებ 1 წლიანი ვადა.
ბ) მოქმედი მოწვევის ოფერტის მოქმედების ვადის დასრულებამდე არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულმა პირმა კომისიაში წარმოადგინოს საჯაროდ გამოქვეყნებული მოწვევის ოფერტის არსებით პირობებში, შესაძლო ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე დოკუმენტაცია და მოქმედი მოწვევის ოფერტის ვადის დასრულებამდე 10 კალენდარული დღით ადრე გამოაქვეყნოს ახალი (ან მოდიფიცირებული პირობებით) მოწვევის ოფერტა;

8.2. **დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება,** შემდეგი კონკრეტული პირობებით:
სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო დაშვების მსურველი (აქცეპტანტი) ავტორიზებული პირისათვის მიწოდება იმგვარი არადისკრიმინაციული და ერთგვაროვანი პირობებით (მათ შორის ტარიფებით, ხარისხით, მიწოდების ვადებით), რომლებიც არანაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე საკუთარი სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის**,** აფილირებული ან/და სხვა ურთიერთჩართული ავტორიზებული პირებისათვის ან/და შიდა მოხმარებისთვის;

8.3. **დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება,** შემდეგი კონკრეტული პირობით:
მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი ვალდებულია არ დაუშვას კონკურენციის შემზღუდავი ქმედებები, მათ შორის, მომხმარებელთა რომელიმე ჯგუფის სატარიფო შეღავათების სუბსიდირება სხვა ავტორიზებულ პირთა ან მომხმარებელთა ჯგუფების ხარჯზე;

8.4. **სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება** შემდეგი კონკრეტული პირობებით:
ა) სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე, ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრულ, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს: სს "სილქნეტს", შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციას“, შპს „ახალ ქსელებს“, შპს „ახტელს“ და შპს „ივერია ქსელს“ ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვრებში, სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების მომსახურებაზე იმ გეოგრაფიულ ზონაში სადაც ეს კომპანიები ცნობილნი არიან მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ დაუდგინდეს სახაზო საკაბელო წყვილებით მომსახურებაზე ზედა ზღვრული ტარიფი თვეში 2,20 ლარის ოდენობით, გადასახადების გარეშე;
ბ) სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო დაშვების მსურველი (აქცეპტანტი) პირებისათვის მომსახურების მიწოდება განახორციელოს კონკურენციის უზრუნველმყოფი, დანახარჯებზე ორიენტირებული და არადისკრიმინაციული ტარიფით, რომლის ოდენობაც დადგენილ უნდა იქნას, ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული ზღვრული ტარიფის ფარგლებში;
გ) ზღვრული ტარიფების ამოქმედების ვადად განისაზღვროს 2015 წლის 1 იანვარი;

8.5. **ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება, შემდეგი კონკრეტული პირობებით:**
ა) სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულმა პირმა უზრუნველყოს საკუთარი ქსელის ტექნიკურ საშუალებებთან და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეებთან სხვა ავტორიზებული პირის შეუზღუდავი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული დაშვება;
ბ) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულმა პირმა სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე დაშვების ვალდებულების ჯეროვნად შესრულების მიზნით უზრუნველყოს საკუთარი ქსელის შესაბამისი ელემენტების ფუნქციონალური და ტექნიკური მახასიათებლები კანონმდებლობით დადგენილი ტექნიკური სტანდარტების დონეზე;

9. სს „სილქნეტს“, როგორც საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს, **დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულების ფარგლებში,** დამატებით დაევალოს კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებით დამტკიცებული "ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების

განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების“ შესაბამისად მომზადებული აუდიტორის მიერ დამოწმებული ყოველწლიური შემოსავლების და დანახარჯების განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშის კომისიისთვის წარმოდგენა. აღნიშნული ანგარიში კომისიისთვის წარმოდგენილი უნდა იქნას კომისიის მიერ „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების შესახებ“ კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში. შემოსავლების და ხარჯების განცალკევებულად აღრიცხვის ანგარიშში დეტალიზირებული უნდა იყოს ყველა საბითუმო და საცალო მომსახურება ცალ-ცალკე; შემოსავლების და დანახარჯების განცალკევებული აღრიცხვის ანგარიში დამოწმებული უნდა იყოს „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის N411 დადგენილებით განსაზღვრულ პირთა ნუსხიდან ნებისმიერი აუდიტორული კომპანიის მიერ;

10. დაევალოს სს „სილქნეტს“, შპს "ახალი ქსელებს", შპს "ახტელს", შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციას“, შპს „ივერია ქსელს“ 2014 წლის 31 დეკემბრამდე ელექტრონულ საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების ბაზრის სეგმენტზე დადგენილი ტარიფების, ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით დადგენილი ზედა ზღვრული ტარიფებთან შესაბამისობაში მოყვანა, კერძოდ შესაბამისი ცვლილებების განხორციელება საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების და სახაზო საკაბელო წყვილებითან დაშვების შეთავაზების წინადადებებში (მოწვევის ოფერტა) და კომისიაში წარმოდგენა;

11. ამ გადაწყვეტილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად იქნას ცნობილი კომიისიის მიერ საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურების ბაზრის სეგმენტებზე კომისიის სხვა გადაწყვეტილებებით განსაზღვრული ვალდებულებები და დადგენილი ტარიფები;

12. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნებისთანავე;

13. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N6) გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის სს „სილქნეტისთვის“, შპს "ახალი ქსელებისთვის", შპს "ახტელისთვის", შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციისთვის“ და შპს „ივერია ქსელისთვის“ ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;

14. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტს (ე.ასანიძე).

კომისიის თავმჯდომარე	ვ. აბაშიძე
კომისიის წევრი	ა. სიხარულიძე
კომისიის წევრი	ს. ბრიტანჩუკი
კომისიის წევრი	ი. მოსეშვილი
კომისიის წევრი	კ. ბექაური